საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/186

ქ. ბათუმი 26 მარტი, 2019 წელი

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

2018-2019 სასწავლო წლიდან დაწყებული იქნა ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 8 აგვისტოს N 96 გადაწყვეტილებით).

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,დაწყებითი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსშეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N06-01/26 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცხადდა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის რიგგარეშე შიდა მობილობა 2018 წლის 8 აგვისტოს აკრედიტირებულ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სამაგისტრო" საგანანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლ. თურმანიძის 2019 წლის 21 თებერვლის MES 1 19 00207805

მოხსენებითი ბარათის, ,,კრედიტების აღიარებისა და პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N06-01/26 დადგენილების, **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის N01-02/39 ბრძანების** და შიდა მობილობის ვადაში წარმოდგენილი სტუდენტთა თანხმობების (კრედიტების აღიარების შესახებ) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით (რიგგარეშე მობილობით) ჩაირიცხონ ბსუ-ს ამავე ფაკულტეტის ,,დაწყებითი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები დანართი 1-ის შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხულ, ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მათზე რიცხული ფინანსური დავალიანება დაფარონ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად (თანაბრად გადანაწილდეს ამავე სემესტრში განსაზღვრული სწავლის საფასურის ეტაპობრივ გადასახდელად).

3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და წარდგენილი იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს (დანართი 1-ის შესაბამისად) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

5. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „დაწყებითი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მიერ ათვისებული კრედიტების „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სამაგისტრო" პროგრამაზე თავსებადობის შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 მარტის №01-08/186
ბრძანებისი დანართი 1

N	სტუდენტის სახელი გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	სწავლების საფეხური	აღიარებული კრედიტი	პირველადი საგანმანათლებლო პროგრამა	მობილობის შედეგი		სწავლების სემესტრი	სტუდენტის სტატუსი-აქტიური/შეჩერებული (შეჩერების ბრძანება)
						ძირ. საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი)	საგანმანათლებლო პროგრამა		
1	ნონა პაპიძე		მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო	30	დაწყებითი განათლება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა	II	აქტიური
2	ნონა ცინცაძე		მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო	5	დაწყებითი განათლება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა	II	აქტიური